# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/237 „30" ივლისი 2018 წ.

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**„რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

1. „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. ახალქალაქის რაიონული სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 3 მოსამართლით.";

ბ) მე-20 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სპეციალიზებულ სასამართლო კოლეგიებში მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვროს:
ა) სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში - 46 მოსამართლით;
ბ) სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიაში - 42 მოსამართლით;
გ) ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში - 28 მოსამართლით.";

გ) 33-ე მუხლის:
გ.ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4. რუსთავის საქალაქო სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 11 მოსამართლით.";
გ.ბ) მე-5 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ა) სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში – 4 მოსამართლით;";

დ) 58-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს კოლეგიასა და პალატებში მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვროს:
ა) სამოქალაქო საქმეთა პალატა - 25 მოსამართლის შემადგენლობით;
ბ) სისხლის სამართლის საქმეთა პალატა - 16 მოსამართლის შემადგენლობით;
გ) ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა - 18 მოსამართლის შემადგენლობით;
დ) საგამოძიებო კოლეგია - 6 მოსამართლის შემადგენლობით.";

ე) 59-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ბ) სისხლის სამართლის საქმეთა პალატა - 6 მოსამართლის შემადგენლობით;
გ) ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა - 4 მოსამართლის შემადგენლობით;“.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი